სიდ/თავ. IV მოზ.წ.

ნინო ტალახაძე

სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება

სიდი

IV კლასი

ნინო ტალახაძე

სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება

IV კლასი

მოსწავლის წიგნი

გრიფი მიენიჭა 2011 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს ს.ს.ი.პ. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ

სიდი

გამომცემლობა „სიდი“
თბილისი, 2011

UAC (უაკ) 351.746+351.86+355.58] (075.3) ტ-218

ნინო ტალახაძე
სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება IV კლასისათვის

მოსწავლის წიგნი განკუთვნილია მე-4 კლასის მოსწავლეებისათვის. იგი წარმოადგენს სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სწავლების პირველ საფეხურს. მოსწავლეები იმოგზაურებენ დიდების სამყაროში. დაფიქრდებიან ამა თუ იმ საქციელის შესაძლო შედეგებზე, გაიგებენ, როგორ უნდა მოიქცნენ სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში, როგორ მოახერხონ პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როგორ მოიქცნენ უჩვეულო ვითარებაში. მოსწავლეები შეიტყობენ, როდის არის საჭირო და აუცილებელი დასახმარებლად მიმართო კანონსა და სახელმწიფოს.

სახელმძღვანელო მოიცავს სამ თავს და ათ გაკვეთილის. მას თან ერთვის მოსწავლის რვეული. სახელმძღვანელოში გამოყენებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები: სწავლება კეთებით, დიკუსია, მსჯელობა, ცოდნის შემოწმების სხვადასხვა ფორმები, მოსწავლეების შემოქმედება. მასალის ათვისების გასამარტივებლად წიგნი შედგენილია შემდეგი რუბრიკების გამოყენებით:

ძირითადი მასალა

ჩვენ ვაკვირდებით!

დისკუსია

გახსოვდეს!

იმსჯელეთ!

დავალება

კითხვები

ჩემი შემოქმედება

ინტერნეტ-რესურსი

ეს საინტერესოა!

რედაქტორი: **გიორგი გაბრიელაშვილი**

დიზაინერი: **გიორგი ხარებავა**

© **გამომცემლობა „სიდი“, 2011**

ტელ.: 790 26 51 52; ელ-ფოსტა: ceedgeo@yahoo.com

ISBN 978-9941-0-1392-8

სარჩევი

I თავი: პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა

1. ჩემი უსაფრთხოება 5
2. კარგია ეზოში გართობა! 9
3. ხიფათი სახლშიც მოიძებნება! 13

II თავი: საგზაო მოძრაობის წესები

4. გზაზე მოძრაობის ანა-ბანა 18
5. ვიცნობ საგზაო ნიშნებს! 22
6. უსაფრთხო გზა სკოლისაკენ! 29

შეამოწმე შენი ცოდნა!

III თავი: ტურისტული უნარ-ჩვევები

7. მოვემზადოთ სალაშქროდ! 34
8. ისევ ლაშქრობა 39
9. ექსტრემალური სიტუაცია 44
10. ბედნიერი არდადეგები 50

შეამოწმე შენი ცოდნა!

განმარტებითი ლექსიკონი 52

I თავი: პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა

1. ჩემი უსაფრთხოება

ძვირფასო მეოთხეკლასელო! აი, დადგა დრო, როცა შენ პრაქტიკულად უკვე დიდი ხარ! ყოველდღე რაღაც სიახლეს იგებ, მშობლები გენდობიან, მეტი თავისუფლება გაქვს: დამოუკიდებლად დადიხარ სკოლაში, მაღაზიაში, სპორტულ დარბაზში და ა.შ. მაგრამ თავისუფლება გარკვეულ პასუხისმგებლობას და დამატებით ცოდნასაც გულისხმობს. ცოდნას, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გამოგადგება. ეს სახელმძღვანელო სწორედ რომ დაგეხმარება. მაშ დავიწყოთ!

დისკუსია!

1. გაიხსენეთ ზღაპარი: ,,სამი გოჭის ამბავი". რისთვის აშენებდნენ გოჭები სახლებს?
2. რომელი საჭიროების დაკმაყოფილება სურდათ მათ?
3. რა საფრთხეებისგან უნდა დაეცვათ თავი გოჭებს?
4. რა საფრთხეები ემუქრება ადამიანს ცხოვრებაში, რა საფრთხეებისგან უნდა დავიცვათ ადამიანები?

სკოლაში არსებობს გარკვეული წესები, რომელიც თითოეული მოსწავლის განვითარების პირობებს ქმნის, მათ შორის მოსწავლის ფიზიკური უსაფრთხოების პირობებს. ამ წესებს მოიცავს ,,მოსწავლეთა ქცევის კოდექსი", თუმცა ყოველგვარი კოდექსის გარეშეც მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ არ შეიძლება სკოლაში ჩხუბი, მასწავლებლის ნებართვის გარეშე გაკვეთილებიდან წასვლა; ისეთი ნივთების სკოლაში მიტანა, რომელიც გარშემო მყოფთათვის სახიფათოა (სწრაფად აალებადი, მჩხვლეტავი, მტვრევადი, მჭრელი და სხვა ნივთები).

რა მოხდება ამ წესების დარღვევის შემთხვევაში?

სკოლაში თავმოყრილია ბავშვების დიდი ნაკადი. გადამეტებული სირბილის დროს შესაძლოა ვინმეს დაეჯახო და წააქციო ან წაიქცე, რაიმე იტკინო ან მოიტეხო. თუ ერთმანეთს ხელს კრავთ, შესაძლოა კიბეზე დაგორდე. ჩხუბიც სხვადასხვაგვარია და შესაძლოა, უნებლიე გართულებები გამოიწვიოს. არ შეიძლება ფანჯრის რაფაზე ჯდომა, შეიძლება შემთხვევით შუშა გატყდეს და რაიმე გაგეჭრას.

გახსოვდეს!

სკოლაში მომხდარი რთული შემთხვევის დროს აუცილებლად მიმართე მასწავლებელს, **მანდატურს,*** ექიმს! მანდატური სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოებას იცავს.

იმსჯელეთ!

როდის შეიძლება გაჩნდეს საფრთხე?

- **შესვენებებზე თამაშის დროს**
- **სკოლაში ქცევის წესების დაუცველობის დროს**
- **ქუჩაში/გზაზე მოძრაობის დროს**
- **ცეცხლთან ურთიერთობის დროს**
- **ბუნებრივ აირთან ურთიერთობის დროს**
- **ელექტროობასთან ურთიერთობის დროს**
- **უცნობთან ურთიერთობის დროს**
- **ატრაქციონზე გართობის დროს**

მანდატური* — ქართულ ისტორიულ წყაროებში XI საუკუნიდან გვხვდება. მანდატურებს ევალებოდათ სავაზირო შენობის დაცვა სხდომების დროს, საპატიო მგზავრის გაყოლა, სამეფო ზვრების სამუშაოთა ხელმძღვანელობა და სხვა. თანამედროვე საქართველოში არსებობს მანდატურის სამსახური, რომლის მიზანია სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა.

რთულ სიტუაციაში შენი დამხმარე შეიძლება იყოს ტელეფონი. თუ სახლში მარტო ხარ, ყოველთვის შეგიძლია ტელეფონით საჭირო კითხვები დაუსვა დედას, მამას, ბებოს ან ბაბუას. დარეკავ კონკრეტულ ნომერზე და ნებისმიერ დროს საშველად უხმობ პოლიციას, სასწრაფო დახმარებას, სახანძრო სამსახურს, მეზობლებს, მეგობრებს.

გახსოვდეს!

შენ დაგეხმარებიან, თუ ზუსტად დაასახელებ მისამართს, ტელეფონის ნომერს, სახელს და გვარს. ტელეფონის ნომრები რომ არ დაგავიწყდეს, გააკეთე **სამახსოვრო**. ჩაინიშნე მასში ყველაზე ახლობელი ადამიანების ტელეფონის ნომრები. ჰკითხე მშობლებს, რომელი მათგანის ჩაწერა სჯობს. სამახსოვრო კი ყოველთვის თან გქონდეს, როგორც უბის წიგნაკი.

მოქალაქეებისთვის დახმარების აღმოსაჩენად პოლიციის, მაშველების, მეხანძრეებისა და ექიმების ბრიგადები ერთად არიან მუდმივ მზადყოფნაში. რთულ სიტუაციაში სპეციალური ტექნიკით აღჭურვილნი, მაშინვე ჩვენთან ჩნდებიან. საკუთარ სიცოცხლეს ხშირად საფრთხის ქვეშ აყენებენ და ჩვენს უსაფრთხოებაზე ზრუნავენ.

მაშველს, მეხანძრეს ქუჩაში ჩვეულებრივი ადამიანისაგან იოლად გამოარჩევ ფორმით. ფორმა შორიდანვე შესამჩნევია იმიტომ, რომ ადამიანებმა ნებისმიერ პირობებში (ტყეში, სიბნელეში) კარგად დაინახონ. მათ ფორმაზე მიკერილი აქვთ შუქის ამრეკლავი ზოლები, თავზე კი - ჩაფხუტი ახურავთ. ჭეშმარიტი მაშველი, მეხანძრე მამაცი და ძლიერი უნდა იყოს და დიდ ცოდნას ფლო-

ბდეს. სწორედ ამ თვისებების გამო ბევრი ბავშვი ოცნებობს მეხანძრეობაზე, ექიმობაზე, პოლიციელობაზე და მაშველობაზე.

სამაშველო და სახნძრო სამსახურთან დაკავშირება შესაძლებელია ტელეფონით	– 011
სასწრაფო დახმარების სამსახურთან	– 033
საპატრულო პოლიციასთან	– 022

იმსჯელეთ!

უკავშირდება თუ არა უსაფრთხოების დაცვას ქართული ანდაზები?

ა) სიფრთხილეს თავი არ სტკივა;

ბ) რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო;

გ) ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერი;

დ) ფრთხილს ღმერთი უფრთხილდება, არაფრთხილს — ბადრაგიო!

ე) მტერი მტერს ვერ ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს;

ვ) რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსა;

ზ) ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო;

თ) სანამ ჭკვიანი დაფიქრდა, ცეტმა გარდავლო მთებია;

ი) ფათერაკს თვალი არ უჩანსო;

კ) ნუ ეძალები წყალდიდსა, გირჩევ მოსძებნო ფონია;

ლ) სწავლა გონების საზრდო და ჭკუის წარმატებაა.

უფრო დეტალურად სკოლაში შენი ქცევის წესების შესახებ გაეცანი „მოსწლეთა ქცევის კოდექსს“. გამოიყენე ინტერნეტ-რესურსი: mes.gov.ge/content.php